საქართველოს პრემიერ-მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N429 2015 წლის 16 ოქტომბერი ქ. თბილისი

„უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრთა დანიშვნის შესახებ“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2015 წლის 5 ოქტომბრის №412 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრთა დანიშვნის შესახებ“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2015 წლის 5 ოქტომბრის №412 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრებად დაინიშნონ:

მანანა მიქაბერიძე - სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე;

დავით აფრასიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი), პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

თინათინ ბრეგვაძე - ა(ა)იპ - ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველოს“ აკადემიური მხარდაჭერის პროგრამის სამხრეთ კავკასიის რეგიონის ოფიცერი;

ანანო გიორგაძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, საბჭოს მდივანი;

თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;

კონსტანტინე სირბილაძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

გრიგოლ მურღულია - განათლების ექსპერტი;

ნინო ჩინჩალაძე - ა(ა)იპ - ფონდი „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ აღმასრულებელი დირექტორი;

მარიამ ჯაში - ა(ა)იპ - საქართველოს სოლიდარობის ფონდის აღმასრულებელი დირექტორი.“.

ირაკლი ღარიბაშვილი